ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2026 წლის 27 იანვარი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 27 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა გოჩა ქაჯაია - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე).

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: საჭოჭუო, საბაჟო, საღვამიჩაო და საქორქიოს ქუჩების, შესახვევებისა და ჩიხების სახელდების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ლ. გვასალია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის, ურბანული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის უსახელო ქუჩებისა და და ჩიხების სახელდების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ლ. გვასალია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის, ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მინი სპორტული მოედნისთვის მიხეილ სიჭინავას სახელის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ლ. გვასალია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის, ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭიხუში ლევან გოთუას პირველი ჩიხისთვის რეზო თოდუას ქუჩის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0,
(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. შონია, მ. ქაძანაია)
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლეელმა განაცხადა, რომ ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილი ცვლილებები მისვის მისაღებია, თუმცა არ ეთანხმება მრავალსართულიანი კორპუსების გადახურვას, რადგანაც ეს კერძო ბინებია და მათი გადახურვა არ უნდა ხორციელდებოდეს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებით. ასევე განაცხადა, რომ არ იყო სასიამოვნო ფაქტი 10 მილიონამდე ნაშთის გადმოტანა მიმდინარე წლისთვის. მისი განცხადებით, ამდენი თანხა არ უნდა რჩებოდეს მუნიციპალიტეტს აუთვისებელი.

გ. ქაჯაია - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რამ განაპირობა წინა წლიდან ნაშთის, 10 მილიონის გადმოტანა მიმდინარე წლისთვის?

დ. ჭოჭუა - გამომსვლელის განმარტებით, მრავალსართულიან ბინებში მცხოვრები მოსახლეობის დახმარება ამ ეტაპზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რადგანაც კორპუსს აწვიმდა და წყალი მოსახლეობის საცხოვრებელ ბინებშიც აღწევდა, გამომდინარე აქედან მოქალაქეებისთვის დროებითი თავშესაფარი ხომ უნდა მოეძიათ, რომელიც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. რაც შეეხებოდა ნაშთის არსებობას, იყო ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, თანაც არჩევნების წელიც იყო, მაგრამ უფრო ობიექტური მიზეზების გამო ხდებოდა თანხის ამ წლისთვის გადმოტანა.

ლ. ცატავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ხამისქურის ადმინისტრაციული ერთეულის საფარცვანიოს უბანში სამი ოჯახი სოფელს მოწყვეტილია, სასწრაფო დახმარების მანქანებიც ვერ ადიან მათთან საჭიროების შემთხვევაში და ითხოვა საავტომობილო გზის მოხრეშვა.

გ. ქაჯაია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ინფორმაცია გადამოწმდებოდა და აუცილებლად მოხდებოდა დროებით გზის მოხრეშვა, სრულ რეაბილიტაციამდე.

ლ. ცატავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ სამეგრელოს სხვა მუნიციპალიტეტებში საკრებულოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯის

ანაზღაურება ბევრად მეტი იყო, ვიდრე ხობის მუნიციპალიტეტში და თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს თუ შესაძლებელი იქნებოდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზეც გაეზარდათ ხარჯების ანაზღაურება.

დებატების დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობები განისაზღვრა- 24719,9 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა 36004,5 ათასი ლარის ოდენობით. პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები და დამატებები: 2026 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის 11284,6 ათასი ლარი (990,3 ათასი ლარი - ცენტრალური ბიუჯეტი, 10294,3 ათასი ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებაზე 43.0 ათასი ლარი, აქედან: 15.4 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ასიგნებაზე, 27,06 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის მერიის ასიგნებაზე; პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებაზე 10261,5 ათასი ლარიდან: 4291,2 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ასიგნებაზე; 3,2 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ასიგნებაზე; 0,1 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ ასიგნებაზე; 5363,1 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ ასიგნებაზე; 430,6 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ ასიგნებაზე; 68,3 ათასი ლარი პროგრამის ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ასიგნებაზე; 105,0 ათასი ლარი პროგრამის ,,სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია“ ასიგნებაზე; პრიორიტეტის ,,განათლება“ ასიგნებიდან 873,2

ათასი ლარი მიიმართება - პროგრამის ,,საჯარო სკოლების დაფინანსება“ ასიგნებაზე; პრიორიტეტის ,,კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ ასიგნებიდან 1,5 ათასი ლარი მიმართება პროგრამის ,,რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა“ ასიგნებაზე; პრიორიტეტის ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებიდან 105,4 ათასი ლარი - პროგრამის ,,ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება“ ასიგნებაზე. ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები, რომლის ასახვაც ხორციელდება ბიუჯეტის პროექტში. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –27, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N1 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“, სადაც გაწერილია საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმა საკრებულოს კომისიების წლიური გეგმისა და მერიის მიერ 2026 წელს მოსამზადებელი პროექტების გათვალისწინებით, რომელიც გათვლილია კვარტლების მიხედვით.

გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N1 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: საჭოჭუო, საბაჟო, საღვამიჩაო და საქორქიოს ქუჩების, შესახვევებისა და ჩიხების სახელდების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ლ. გვასალია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის, ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი)

მოისმინეს: ლ. გვასალია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების: საჭოჭუო, საბაჟო, საღვამიჩაო და საქორქიოს ქუჩების, შესახვევებისა და ჩიხების სახელდების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმდომარეს ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან წარმოდგენილ იქნა წინადადება ხობის

მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში საჭოჭუო, საქორქიო, საღვამიჩაო და საბაჟო ქუჩების, შესახვევებისა და ჩიხების სახელდების თაობაზე, აღნიშნული ქუჩები სახელდებული იყო არაბული ციფრებით და წარმოდგენილი წინადადებით მათი სახელდება ხორციელდება გამოჩენილი ადამიანებისა და საზოგადო მოღვაწეების სახელებით. წინადადება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, შესწავლილ იქნა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის მიერ, აღნიშნულ საკითხზე. მოსახლეობასთან ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. რის შემდეგაც საკითხი შესათანხმებლად გადაეგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას, საიდანაც მიღებულ იქნა თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქუჩების სახელდების თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიგაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N2 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის უსახელო ქუჩებისა და და ჩიხების სახელდების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ლ. გვასალია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის, ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი)

მოისმინეს: ლ. გვასალია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის უსახელო ქუჩებისა და და ჩიხების სახელდების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმდომარეს ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ძველი ხიბულის ქუჩებისა და ჩიხების სახელდების შესახებ“ რაც გულისხმობს ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული დაუმისამართებელი 17 ქუჩისა და 20 ჩიხის არაბული ციფრებით სახელდებას. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N3 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მინი სპორტული მოედნისთვის მიხეილ სიჭინავას სახელის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ლ. გვასალია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის, ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი)

მოისმინეს: ლ. გვასალია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მინი სპორტული მოედნისთვის მიხეილ სიჭინავას სახელის მინიჭების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმდომარეს ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიაში შევიდა ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული მინი სპორტული მოედნისთვის მიხეილ სიჭინავას სახელის მინიჭების შესახებ, მათი განმარტებით მიხეილ სიჭინავა მოღვაწეობდა 1920-1977 წწ. ის წლების განმავლობაში ემსახურებოდა ახალგაზრდა თაობის აღზრდას, ხელს უწყობდა სპორტის განვითარებას, ჩამოაყალიბა საფეხბურთო გუნდი და წლების განმავლობაში რაიონის დონეზე იღებდა სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობას, 1949 წლიდან გარდაცვალებამდე, 1977 წლამდე მუშაობდა ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში სასოფლო საბჭოს მდივნად და სათავეში ედგა სოფლის მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდს, ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის სურვილია ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ მინი სპორტულ მოედანს მიენიჭოს მიხეილ სიჭინავას სახელი. წარმოდგენილი წინადადება კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, შესწავლილ იქნა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის მიერ, აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობასთან ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. რის შემდეგაც საკითხი შესათანხმებლად გადაეგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას, საიდანაც მიღებული თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული მინი სპორტული მოედნისთვის მიხეილ სიჭინავას სახელის მინიჭების შესახებ. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N4 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭიხუში ლევან გოთუას პირველი ჩიხისთვის რეზო თოდუას ქუჩის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების
კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ბ. მამაცაშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭიხუში ლევან გოთუას პირველი ჩიხისთვის რეზო თოდუას ქუჩის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიაში შევიდა პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, სოფელ ჭიხუში ლევან გოთუას ქუჩის პირველი ჩიხისთვის პირველი მაისის მკვიდრის რეზო თოდუას სახელის მინიჭების თაობაზე. მერიის მიერ წარმოდგენილ განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ რეზო თოდუა წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად ემსახურებოდა მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს, იყო მსახიობი, პედაგოგი, ხობის კულტურის სახლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი. რ. თოდუას სხვადასხვა ღონისძიებებში და ფესტივალებში მონაწილეობის გამო მიღებული აქვს არაერთი სიგელი და დიპლომი. კულტურის სფეროში შეტანილი წვლილისთვის მინიჭებული აქვს ხობის საპატიო მოქალაქის წოდება. რეზო თოდუას სახელის უკვდავყოფის მიზნით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, კომისიის მიერ ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სადაც გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სახელდების საკითხს. გამომდინარე იქედან, რომ რ. თოდუას გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, კომისიის მხრიდან მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭიხუში ლევან გოთუას ქუჩის პირველი ჩიხისთვის რეზო თოდუას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ

კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N5 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა ქაჯაია

მეექვსე მოწვევის საკრებულოს 2026 წლის 27 იანვრის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. გოჩა ქაჯაია
2. მამუკა ქარდავა
3. გიორგი გვასალია
4. გივი ლატარია
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. ბექა მამაცაშვილი
9. მიმოზა ლემონჯავა
10. გაიოზ ქირია
11. მანუჩარ ქაძანაია
12. სერგო ბერაია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. აკაკი ხურცილავა
16. მზია ლემონჯარია
17. ირაკლი სახურია
18. ზაზა ალექსანდრია
19. ფრიდონ კუკავა
20. ირაკლი ალანია
21. გურამი ქირია
22. გიგა კაპანაძე
23. ლაშა ცატავა
24. კობა შონია
25. გია წულაია
26. გიორგი გოგოხია
27. ალიოშა საჯაია